პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
11 დეკემბერი
1941 წ.
№ 293 (6298)
ფასი 15 კაპ.

ხალხის ინიციატივა და სამშობლოს დაცვა

ჩვენს ქვეყანაში ზურგი და ფრონტი ერთიანია. მთელი საბჭოთა ქვეყანა ერთიანი სამხედრო ბანაკი გახდა. საბჭოთა ქვეყნის ქალაქებსა და სოფლების მშრომელნი თავდადებით მუშაობენ ზურგში და ამით წითელ არმიას ეხმარებიან საზიზღარი მტრის განადგურებაში.

დღეს ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ მოსახლეობას ნებაყოფლობით შემოაქვს თბილი ნივთები წითელი არმიისათვის. ამ ფარო ნებაყოფლობითმა დახმარებამ უდიდესი გაქანება მიიღო, იგი ჩვენი ქვეყნის ერიად შორეული კუთხეებიდანაც კი მოდის. 3 თვის განმავლობაში მუშებმა, მოსამსახურეებმა, კოლეტიურებმა და ინტელიგენციამ ნებაყოფლობით, ორგანიზებულად ჩაბარეს დიდძალი თბილი ტანსაცმელი: 1.174.972 წყვილი თეძლი ჩექმა, 2.767.232 კილოგრამი მატყლი, ნახევარ მილიონზე მეტი კაბა, ორ მილიონზე მეტი ცხვრის ტყავი, მილიონობით წყვილი მატყლის ხელთათმანი, ცალთითა ხელთათმანი, ბეწვის საბუხარი, მატყლის წინდები, მაღალყელიანი წინდები, სვიტერი, ფლანელის პერანგი, თბილი ფეხსაცმელი, საყურნაირი ქუდი, დაბამბული ქურთუკი და შარვალი, გიმნასტიორკა, თეთრეული, ტყავის ფეხსაცმელი და სხვ. ჩაბარებული ნივთების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაგზავნილია მოქმედი წითელი არმიის ნაწილებში.

რა უბადრუკი და უსუსური რამ არის ამ ციფრებთან შედარებით „საზამთრო დახმარების“ კამპანია, რომელსაც ფაშისტურ გერმანიაში აწყობენ. როგორც ვიცით, ეს კამპანია საესებით ჩაიშალა. „რაც პიტლერელთა ბანდა ბატონობს, გერმანიის მოსახლეობა დაიმშა და გადატაკდა. პიტლერელები ძალით ართმევენ მოსახლეობას თბილ ნივთებს. ხოლო საბჭოთა რაიონებში, რომლებიც გერმანელებმა დაიკავეს, გერმანელი ბანდიტები ადგილობრივ მცხოვრებთ სძარცვავენ, ყველაფერს ართმევენ, ბავშვის თბილ ნივთებსაც კი არ უტოვებენ. მაგრამ მარტო ძარცვით დიდ ხანს ვერ გაიტანს თავს. გერმანელი ჯარისაკაცები სთაბეთ ითხოვნიან. ბევლისი იძულებული გახდა მოწოდებით მიემართნა გერმანელებისათვის, რომ ფაშისტურტის ფირფიტები მაინც ჩაებარებინათ, რათა ამით ვინმე ფანტერნ ალმასავლეთის ფრონტზე მყოფი ჯარისაკაცების შავბნელი ფიქრები.

სსრ კავშირში არმია მთელი ხალხის სათუთი მზრუნველობით არის გარემოსილი, არმია დახმარებას იღებს ხალხის ინიციატივის დაუშრეტელი წყაროებიდან. შვიდიმბიანი . მშეიდობლობის წლებში ეს მძლავრი ენერგია ეკმოხატულებას იმით პოულობდა, რომ გოგანტურ სარწყავ არხებს ვაგებდით შუა აზიაში, ვრწყავდით ყაზახეთის ველებს, ვაგებდით ყაზაგეთის ველებს, ვაგებდით ოლიმპიურ ნაგებობებს ... ეს ენერგია ... ელექტროსადგურებს, წყალსაცავებს. ამ ეკამდ ხალხის ფართო ინიციატივა ფრონტისადმი უშუალო დახმარებისაკენ არის მიმართული.

ყოველი პატიოსანი საბჭოთა ადამიანის გულს ჩასწვდა მოწოდება სსრ კავშირის თავდაცვის ფონდში სახსრების გადარიცხვის შესახებ. ამ პატრიოტულ მოწოდებას უდიდესი ოფთოოვანებით გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. უკვე პირველი ნოემბრისათვის თავდაცვის ფონდში შემოვიდა მილიარდამდე მანეთი ფულად და 1.300 მილიონი მანეთის სახელმწიფო სესხია ობლიგაციები, ოქროსი პლატინი, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასეული და უცნაურთის ვალუტა.

კომკავშირის მოწოდებით ქალაქებში, რკინიგზებზე, სოფლებში, ხალხმრავალი ადგილობა ეწყობა, აგროვებენ სახსრებს ახალი ტანკების, თვითმფრინავების, ჯავშანიანი მატარებლების ასაგებად. ყოველ საბჭოთა ადამიანს სურს მონაწილეობა მიიღოს პირსისხლიან მტერთან ბრძოლაში, დაეხმაროს წითელ არმიას. გერმანელი ოკუპანტების განადგურებაში. აოსრული ცნობების მიხედვით, მარტო საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდულ კვირეულობაში 23 ნოემბერს, ოთხ მილიონისამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. სოკ. ალკაკ სახელობის სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდს ამ დღეს გადაეცა 25 მილიონამდე მანეთი და 266 ათასზე მეტი შრომადღის ღირებულება.

ძნელი ჩამოსათვლელი და მრავალნაირია ხალხის ინიციატივის გამოვლინების ყველა ფორმა. ყირიმელთის კოლმეურნეებმა წითელი არმიის კავალერიის ნაწილებისთვის აშზადებენ საუცხოო ბედაურებს და ელნის გრიგალივით სწრაფი ცხენები ჰყავთ გამოყოფილი გვარიდის დივიზიონისთვის, ელნის აულების მეცხოვრენი აშზადებენ ალვარებს, უნაგირებს, ხალთებს, მოსართავებს. დონის მოხუცი კაზაკები თავისუფალ დროს აშზადებენ უნაგირებს, კაბაკების ცოლები ფორმის ტანსაცმელს უკერავენ ქმრებს —სახალხო მოლაშქრებს. მოსკოველი და ლენინგრადელი ქალები თავისუფალ დროს ცალთითა ხელთათმანებს და თბილ წინდებს ქსოვენ. დაღესტნის აულების მთიელი ქალები თბილ ფეიერულს და სვეტრებს უქსოვენ მეომრებს. საქართველოს კოლმეურნეობები ხილს, სოფლიფლეს თამბაქოს და ღვინოს უგზავნიან წითელი არმიის მებრძოლთ. ომსკის ოლქის კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს კიბლნი ბატა ან ქათამი გაასუქონ წითელარმიელთა ქვაბისათვის. ორეოფო-ზუევოს ბავშვები ჰოსპიტლებში გასაგზავნი წვიზების შეგროვებას შეუდგნენ. ჩვენს ჩინებელ ბავშვებს შორის საუცხოო გამოხმაურება ჰპოვა „თემურლენა მომრთობამ“. ამჟამად მრავალ ათასობით მოიპოვება თემურელთა რაზმები, რომელნიც დახმარებას უწევენ წითელარმიელთა ოჯახებს.

ხალხის ამ ინიციატივის ყველა გამოხატულება ცხადად მოწმობს ხალხის სიყვარულს თავისი არმიისადმი, სამშობლოს დედობრივ მზრუნველობას მებრძოლთა და მეთაურთათვის, რომელნიც მამაცურად და თავგანწირვით იცავენ მტრისაგან სამშობლოს. მსოფლიოში ხალხი არსად არ ეპყრობა არმიას ისეთი სიყვარულითა და მზრუნველობით, როგორც ჩვენში. ჩვენში არმია უყვართ, მას პატივს სცემენ, მისთვის ზრუნავენ. ჩვენს არმიას უალრესად მტკიცე ზურგი აქვს.

პიტლერელ ყაჩაღს ამედი ჰქონდათ, რომ წითელი არმიის დრეტებით წარუმატებლობა ომის პირველ თვეებში უკმაყოფილებას გამოიწვევდა საბჭოთა ხალხში. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ერთმანეთისაგან გასთშაყდნენ ჩვენს არმიასა და ჩვენს ხალხს. ეს არ გამოუვიდათ და არც როდისმე გამოუვალ ჩვენში ხალხი და არმია ერთ მთელს, ერთ ოჯახს შეადგენს. წითელი არმია მტკიცე ზურგს ეყრდნობა და სულ უფროდაუფრო გამანადგურებელ ლანგარს სცემს მტერს.

დაახლოებით 10 დღის წინათ გერმანელთა ჯარების ბენერალ შმიდტის ჯგუფმა ქალაქი ტიხვინი და ახლომდებარე რაიონები დაიკავა. გერმანელები აპირებდნენ მოეწყვეტათ ლენინგრადი ვოლხოვის რაიონისათვის, გაეცალკევებინათ ლენინგრადში მყოფი ჩვენი ჯარები. წითელმა არმიამ დაამსხვრია გერმანელ დამპყრობთა გეგმები. გუშინ წითელი არმიის ნაწილებმა ტიხვინი ... ქალაქი ტიხვინი. ამ ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა 3ე-12 სატანკო, 3ე-18 მოტორიზებული და 61-ე ქვეითი დივიზიები. მტერმა ბრძოლის ველზე 7 ათასზე მეტი ვეგმი დატოვა და გაიქცა.

ტიხვინის, რაიონში წარმოებული ბრძოლება კიდევ ერთი ლაბორატორია მტრის ჯარებისადმი. წითელმა არმიამ ახალი გამარჯვება მოიპოვა, რომელიც საბჭოთა ხალხს ახარებს. როსტოვს ტიხვინი მოაყვა! როსტოვი, ტიხვინი, ჩვენი ჯარის ნაწილების წარმატებითი კონტრიერიშები დასავლეთის ფრონტზე — ყოველივე ეს იმის მოწმობს, რომ გაიზარდა და განუწყვეტლივ მატულობს ძალიერება წითელი. არმიისა, რომელიც დღითა-ღამე ახალ-ახალ ძალას იღებს თავის ხალხისაგან, დედა-სამშობლოსაგან, რათა საბოლოოდ და სრულიად გაანადგუროს მტერი.

„პრავდის“ მოწინავე, 10/XII.

ამხ. ფ. ე. მახარაძე

ამხანაგ ლ. პ. ბერიას დეკეპეშა

თბილისი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს
საქართველოს სსრ სახალხოკომსაბჭოს
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს



თქვენთან ერთად ვწუხვარ უძველესი ბოლშევიკის ფილიპე მახარაძის გარდაცვალებას, რომელს მთელი სიცოცხლე და მოუშაობა განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს კომპარტიის და ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან. ქართველ ხალხში დიდხანს დარჩება ხსოვნა ამხ. ფილიპე მახარაძეზე, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე მოახმარა ჩვენი სამშობლოს, კეთილდღეობას, ლენინ-სტალინის საქმეს.

ლავრენტი ბერია

ამხანაგ ფ. ე. მახარაძის ხსოვნას

გარდაიცვალა ამხანაგი ფილიპე მახარაძე.

გარდაიცვალა უძველესი ბოლშევიკი, რომლის მთელი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან.

ამხანაგი მახარაძემ თავისი ცხოვრება ჭაბუკობიდანვე დაუკავშირა მუშათა კლასს, საქმისათვის ბრძოლას.

ამხანაგმა ფილიპემ თავისი რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო არალეგალურ სტუდენტურ მარქსისტულ წრეში და 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაში.

ამხანაგი ფ. მახარაძე მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავკასიის პირველი ყრილობის მუშაობაში, პეტროგრადში შემდგარ აპრილის პარტიულ კონფერენციაში, არაერთხელ ყოფილა არჩეული ჩვენი პარტიის ყრილობების დელეგატად.

ამხანაგი ფ. მახარაძე განიცდიდა დევნას თავისი რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ოქტომბრის რევოლუციამ მას, თბილისში მოუსწრო. ბოლშევიკური ბიურო ამხ. მახარაძეს დელეგატად გზავნის აპრილის კონფერენციაზე პეტროგრადში. საქართველოში დაპრუნების შემდეგ ამხ. მახარაძე მონაწილეობას იღებდა პარტიის საბრძოლო კომიტეტის მუშაობაში და 1918 წლის ბოლოს ... ამიერ-კავკასიის საბრძოლო კომიტეტის შემადგენლობაში.

1918 წლის მაისის დასაწყისში, უკვე მენშევიკების ბატონობის დროს, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ამხ. მახარაძე სამხრეთ-ოსეთით გადადის ჩრდილეთი კავკასიაში, ხოლო შემდეგ კვლავ ბრუნდება საქართველოში არალეგალური მუშაობისათვის. 1920 წლის ივნისში იგი ახარებს მოსკოვსა წასვლის კომინტერნის მეორე კონგრესზე.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამხ. ფ. მახარაძე ბრუნდება თბილისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ამხ. მახარაძე ემხრობოდა ქართველ ნაციონალ-უკლონიზმს, მაგრამ შემდეგში, შეიგნო რა თავისი შეცდომები, მან კაცრნი გაწყვიტა ნაციონალ-უკლონისტებთან და სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იბრძოდა ჩვენი პარტიის მტრების წინააღმდეგ.

ამხანაგ ფ. ე. მახარაძეს, ... ეკუთვნის ... ...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 დეკემბრის ღილი ცნობა

9 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ამბ. თუფიმოკუის მფრინველებმა, რომლებიც ფრონტის კალინინის მიმართულებით მოქმედებენ, ერთი დღის საბრძოლო მოქმედების დროს მოსპეს მტრის ჯერთნელი 10 ტანკი, 67 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და სამხედრო ტვირთითურთ, 80-მდე ხაზიდარი სამარი მასალითურთ და გაფლიტეს მოწინააღმდგის 600 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამ უკანასკნელი 3 დღის საბრძოლო მოქმედების დროს მეთაურ კალინინის კის ორტელერისტებმა მოსპეს ჯერმანელთა 9 საარტილერიო და 18 ნაღმსატყორცნი ბატარია, 3 ძელმავლური საცეცხლე წერტილი, სათვალთვალო პუნქტი და უეცარი ცეცხლითი თავდასხმებით გაფლიტეს ერთ პოლკამდე მტრის ქვეითი ჯარი.

* * *

ჯერმანელ ფაშისტთა ჯარების სასურსათო მომარაგება ბანუწყვეტლივ უარესდება. ტყვე კარლ შიერერი ამბობს: „სიცივეე, მკბენარი და შიმშილი უამრავ ტანჯვას აყენებს ჯერმანელ ჯარისკაცებს. მთელი კეთრობით არ გვაძლევენ ცხელ საჭმელს. ბედნიერად ვთვლით თავს, როცა თუნდაც ერთი ლუკმა პური გვაქვს. მაგრამ ზშირად არც ეს ბედვაჩინა“. ტყვე ჯარისკაცი ლისკოფი გვიამბობს: „არმიაში კვება უფრთოდაფრო ცუდი ხდება. ის დღე, როცა მაძღრისად ჭამეს მოვახერეთ, დიდ დღესასწაულად ითვლება...“ ცუდი კვებისა და შიმშილის შესახებ ჩიელს ძალიან ზშირად ვხვდებით იმ წერილებშიც, რომლებიც მოკლულ და ტყვე ჯერმანელ ჯარისკაცებს აღმოაჩენდათ ხოლმე. ეფრეიტორი შპაგერი დედას სწერს: „ჭიშმშილობა... წინათ ორ კაცს ერთ პურს ვვაძლევენენ, ახლა კი ასეთსავე პურს ხუთ კაცს ვვაძლევენ...“ ჯარისკაცი ეფერნ რუტმენდი ჩიველს „მაძღრისად არასოდეს არ გვაჭმევენ, და ცუდი არ იქნებოდა შეხვანაც რომ რაღე მიმეღო. დღეს დაობებული პოლის ნაჭერი შეეჭამე—სხვა არა გვაქვს. ახლა რომ შინ დაბრუნებულიყავი, ვეღარ მიცნობდი. ცარიელი ცუდი ხდა ტყავი-და ვარ. მთლად გაეკაძარავდი“. მაგრამ ჯერმანიის ზურგზე სურსათის საქმე კიდევ უფრო ურარესია, ვიდრე არმიაში. ეი რასა სწერს ჯარისკაც ჰანს შირინგერს ცოლი კელნიდან:

„ასე ცხოვრება ალარ შეიძლება. ჩვენ ცხოვრება გვინდა, გესმის, ცხოვრება. ჯანდაბას ჩვენი შესვეურების ავტორიტერები... შიმშილი ყელში გვწვდა. ძმიმე და გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ... სათ მივყეკართ ჩვენს ბედს“.

* * *

ყაბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ამხანაგ სტალინის მითითებებს ასრულებენ და თავდადებით ეხმარებიან ფრონტს. საქართველოში ფართოდ გაიშალა თავდაცვითი პროდუქციის ახალ სახეთა ათვისება. რეპუბლიკის ბევრმა უდიდესმა საწარმომ — სტალინის სახელობის თბილისის ორთოპედიულ-ეთვალსაჩინოებლურ ქარხანამ, ტყვეარჩექსკანაშრომის ტრესტმა, საქნათვის ტრესტმა, ბერიას სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, თბილისის ჩაისაკმწონავ ფაბრიკამ და სხვებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები. ბანუწყვეტლივ იზრდება ამ სტახანოველთა რიგები, რომელიც ერთიორად და მეტჯერ ასრულებენ ნორმას. ცაზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივით, სტალინის სახელობის ქარხანაში შექმნილია ორასოვანი სტახანოვური სკო�sტა. ყველა, ვინც კი ეს სკოლა დაამთავრა, ნორმას სულ ცოტა 200 პროცენტით ასრულებს. ცვლაში 4-5 ნორმას ასრულებენ: სტალინის სახელობის ქარხნის სტახანოველები—ამხ. ეეშპაელი, ოხანაშვილი, ელისაბედაშვილი, ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები — ამხ. ერაკაოზოვი და ციტაია, თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები — ამხ. ბასილეო, ერმანეთ-ამხ. ბონდარეკი, ეროვნული ფაშისტებს ეგონათ, ეს ბოლშევიკ-ებმა ბანდიტ-ებმა ... ...